

**თეზურ თოლუა****რომაული ფალერა კლდეითიან**

რომის იმპერიისა და კოლხეთის ურთიერთობის შესახებ წერილობითი წყაროები საკმაოდ მწირია. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურად გამოვლენილ სამარხეულ ძეგლებსაც. სწორედ, დაკრძალვის წესსა და სამარხეულ ინვენტარში მკაფიოდ აისახება საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა, მისი პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციები. ამ მხრივ ინგერესს იწვევს კლდეეთის სამაროვანი, სადაც მეგნაკლებად ასახულია კოლხეთ-რომის სამხედრო-პოლიტიკური თუ კულტურული კონტაქტები.

კოლხეთისა და რომის ურთიერთობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს №3 სამარხში წარმოდგენილი რკინის მახვილი ვერცხლის გემიანი ბალთით [2, გვ. 25-27, სურ. 26-27], რომელიც სპეციალურ შესწავლას იმსახურებს. რკინის მახვილი გრძელია, ვიწრო და ორღესული. მხრები ვიწრო და საკმაოდ კუთხოვანი აქვს, საგარე კი ბრტყელი და ვიწროა; მახვილის სიგრძე 87 სმ., სიგანე 2,6 სმ. აღწერილი მახვილის იდენტური ეგზემპლარი საქართველოში ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. სამაგიეროდ, ანალოგიური მახვილები მრავლადაა აღმოჩენილი რეინისპირეთის, დუნაისპირეთისა და ბრიტანეთის ლიმესების ბანაკებში [9, გვ. 161-167]. ასე მაგალითად, კლდეეთური მახვილის ანალოგიურია რკინის მახვილები მაინცის მუზეუმიდან [6, სურ. 67], კენტიდან [6, სურ. 11] და შესაბამისად, ახ.წ. II და III სს. თარიღდება. როგორც ჩანს, კლდეეთური მახვილი რომაული გიპის კლასიკური იარაღია.

რაც შეეხება გემიან ბალთას, მასზე გამოსახულია სამსხვერპლოზე მდგარი არწივი, რომელსაც ნისკარგით მრგვალი ფოთლიანი გვირგვინი უჭირავს. არწივის მარჯვნივ დგას გრძელსამოსიანი, ფრთებშეკეცილი ღვთაება ნიკე. იგი მარცხენა ხელით ეყრდნობა შუბს, ხოლო მარჯვენა ხელში ფოთლებიანი რტო უჭირავს. არწივის გამოსახულების მარცხნივ კი აღმართულია დროშა, რომელიც ანალოგიიდან გამომდინარე „vexillum“-ის გიპის რომაულ სამხედრო დროშას წარმოადგენს. ანალოგიური ფორმის სამხედრო დროშაა გამოსახული ლუციუს ფაუსტუსის სამარხის სტელაზე მაინციდან [10, გვ. 26, სურ. 3] და წმინდა მარსელოს ბარელიეფზე [12, გვ. 137-138, სურ. 10]. ამგვარი სიუჟეტიანი გემა რომაული სამხედრო შენაერთის კერძო ხასიათის გემად ითვლება და ფალერადაა მიჩნეული [8, გვ. 458].

ფალერა, „Falerae“ ლათინური სიგყვაა და ჯილდოს ნიშნავს. რომის რესპუბლიკის ხანაში ფალერა მხედართა წოდება იყო. ძვ. წ. II ს-დან სამხედრო ჯილდოებია. ფალერებს ძირითადად შეადგენდნენ სამკაულები – გემიანი ბეჭდები, ბალთები, სამაჯურები და ლითონის ოვალური თუ მრგვალი ფორმის ნივთები-მახვილები, თასები, სასმისები და სხვა. იმპერიის ეპოქაში ფალერებით აჯილდოებდნენ არა მარტო ცალკეულ ლეგიონერებსა და სამხედრო ქვედანაყოფებს, არამედ დაქირავებულ მეომრებს და პრორომაული ორიენტაციის „ბარბაროსული“ სამყაროს მმართველებსაც [4, გვ.597].

ისმის კითხვა: რა არხებით და როგორი გზით უნდა მოხვედრილიყო აღწერილი ნივთი კლდეთში? რომაული სამხედრო შენაერთების დისლოცირება ამ მიდამოებში და საერთოდ, კოლხეთის შიდა რეგიონებში გამოირიცხულია. რომაული გარნიზონები ქვეყნის ზღვისპირა პუნქტებში იყვნენ დისლოცირებული. ზღვისპირა ცენტრებიდან ამ ნივთების შემოგანაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგანაც კლდეთი სანაპირო პუნქტებიდან საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული. ამასთან, იქ კლდეთური მასალის ანალოგიური ეგზემპლარები არ არის დადასტურებული. ეჭვს იწვევს, ასევე ამ ნივთების სამხედრო ნაღავლადაც მიჩნევა, ვინაიდან ის საკმაოდ ძვირადღირებული იყო, რაც უთუოდ რჩეული და მდიდრულად აღჭურვილი რომაული ან იბერიული სამხედრო შენაერთებთან კოლხების ფართომასშტაბიან ბრძოლას გულისხმობდა. მაგრამ არათუ ამგვარი დაპირისპირება, არამედ მათ შორის რიგითი სამხედრო კონფლიქტის კი წერილობითი წყაროებით არ დასტურდება. კიდევ მეტი, ასეთი დაპირისპირების „a priori“-ს წარმოდგენაც შეუძლებელია, რადგან კოლხეთში ამ დროს ცენტრა-ლიბელები ხელისუფლება მოშლილი ჩანს და იგი ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაქუცმაცებული. შესაბამისად, ერთიანი, ორგანიზებული ლაშქრის არსებობაც გამოირიცხება.

უფიქრობთ, აღნიშნული ნივთი, კლდეთელ წარჩინებულებსა და ზღვისპირა ცენტრებში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების ადმინისტრაციას შორის გარკვეული სამხედრო პოლიტიკური ურთიერთობის მიმანიშნებელი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ კლდეთის სამარხებში მილიტარისტული ხასიათის სიუჟეტური გემები ჭარბობენ. ასე მაგალითად, №2 სამარხში რკინის ბეჭედზე ტიხე – ფორტუნაა გამოსახული [2, გვ.113, სურ. 20], ხოლო შემთხვევით ნაპოვნ რკინის ბეჭედზე ტიხე-ფორტუნა გამარჯვების ქალღმერთი ნიკე და ომის ღმერთი – მარსია აღბეჭდილი [2, გვ.53-55 სურ.9,10,11]. ამგვარი ხასიათის ნივთებით რომაული ადმინისტრაცია, თავის სამსახურში მყოფ ადგილობრივ წარჩინებულ

პირებსა თუ მათ მეთაურებს აჯილდოებდნენ. მაგალითად გაციტუსის ცნობით, რომაელებმა მრისხანე „ბარბაროსული“ გომების ბელადებს საჩუქრად ვერცხლის ძვირფასი ღარნაკები მიართვეს [Tac., Ann., V, 31].

ანალოგიური სურათი ჩანს ახ.წ. II ს. ბოსფორის მმართველებსა და გავრიდის რომაულ საოკუპაციო სამხედრო შენაერთებს შორის. [5, გვ. 64] ალსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ გერმანიაში, სოფ. ჰობთან აღმოჩენილ ახ.წ. I-ს. ვერცხლის კანთაროსზე მისი მფლობელის „Silius“-ის სახელია ამოგვიფრული [7, გვ.164]. გაციტუსის თხზულებიდან ცნობილია, რომ ახ.წ. 14-21წწ. სამხრეთ გერმანიას გაიუს სილიუსი მართავდა [Tac., Ann., I, 25]. აქედან გამომდინარე, მკვლევარები სამართლიანად ასკენიან, რომ ვერცხლის კანთაროსი გაიუს სილიუსმა გერმანელთა ბელადს უსახსოვრა ნიშნად გაწეული დახმარებისათვის [7, გვ.164].

ნიშანდობლივია, რომ იმავე გაციტუსის ცნობით, რომაელებმა სელო-ხემების მეფეს, ანიკეტის გადმოცემისათვის ჯილდო შესთავაზეს [Tac., Hist., III, 48]. სწორედ, კლდეეთელი დიდებულისათვის განკუთვნილ ჯილდოს შეადგენდა ზემოთ აღწერილი ნივთი. ამავე მექანიზმს შეიძლება დაუკავშირდეს კლდეეთის სამარხებში დადასტურებული ლიზიმაქეს, ალექსანდრე მაკედონელის სტაგერების მინაბაძებისა და რომაული ვერცხლის მონეტების (აგუსტუსის დინარები, ანტონინე პიუსის, მარკუს ავრელიუსის, ნერვას კესარიული დიდ-რაქმები) გარკვეული ნაწილი. ცნობილია, რომ ფულადი კონპენსირების გზით რომაელები არცთუ იშვიათად მიმართავდნენ პერიფერიული ქვეყნების მეთაურების, ბარბაროსული გომების ბელადებისა თუ წარჩინებულთა მოსყიდვის პოლიტიკას, რომელიც რომის დიპლომატიის აუცილებელ ინსტრუმენტს შეადგენდა.

რომაელები იმპერიის სამღვრებს არამარტო სამხედრო ძალით, არამედ მოქნილი დიპლომატიური ხერხებითაც აფართოებდნენ. იმპერიის მთელ პერიმეტრზე განსახლებულ მოგიერთ ხალხს გრადიციულად ადგილობრივი მეფეები განაგებდნენ და დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. რომი დიპლომატიურ ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ამ მმართველებთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა, რამდენადაც იმპერიის წარმატებები ზოგჯერ მათზე იყო დამოკიდებული, [3, გვ. 34].

სასურველი მიზნების მიღწევისათვის, რომაელები დიპლომატიის სხვადასხვა მეთოდებს მიმართავდნენ: დაშინების, იძულების, შანტაჟის, მოსყიდვის, ზოგჯერ კი პროდუქციის ურთიერთგაცვლის ელემენტებსაც. ამგვარი პრაქტიკა ჯერ კიდევ ძვ. წ. II ს. შუა ხანებში დამკვიდრდა, ხოლო იმპერიის ხანაში გახშირდა.

რომის დიპლომატიის გემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან ზოგიერთი მათგანი კოლხეთშიც დასტურდება. ერთ-ერთი კოლხური ტომის – სელოხეზების მეფის მოსყიდვასთან დაკავშირებით, ჩვენ უკვე ვახსენეთ. გარდა ამისა, რომაელებსა და კოლხებს შორის პროლუქციის ურთიერთგაცვლის ოპერაციასაც ჰქონდა ადგილი. ეს ფაქტი გარკვეულწილად წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალებშია ასახული. პლინიუს უფროსის ცნობით, დიოსკური-აში ქვეყნის პინგერლანდიდან 300 ტომის წარმომადგენელი იყრიდა სავაჭროდ თავს [Plin., N.H., VI, 15]. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ისინი სანაპიროზე მარილის საყიდლად ჩამოდიოდნენ [Strabo, XI, 5, 6]. კოლხეთის მოთხოვნილება მარილზე, ვაჭრებს საშუალებას აძლევდა ეს იაფფასიანი პროლუქტი მონებზე, ხე-ტყეზე და სხვა პროლუქტებზე გაეცვალათ. ვფიქრობთ, კოლხეთის სანაპიროზე დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთებიც იგივე ოპერაციითაც უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი, რაც არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. პიტიუნგის, აფსაროსისა და სებასტოპოლისის კასტელუმების გერიგორიაზე საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი ადგილობრივი კერამიკა, ხოლო ქვეყნის შიდა თუ მთიან ზოლში რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრების ნაწარმთა მთელი სერია [1, გვ., 171].

რომაული საჯარისო ნაწილები აკონტროლებდნენ კოლხეთსა და პონტოსპირეთის, ასევე ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროს შორის სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებს. ვაჭრობაზე კონტროლი და სავაჭრო პრივილეგიების გაცემა ძველთაგანვე რომის დიპლომატიის და საერთოდ რომაული იმპერიალიზმის ინსტრუმენტი იყო [11, გვ. 94].

გემოთ აღნიშნულ მეთოდებს რომაელები მოგვიანებითაც იყენებდნენ. პროკოპი კესარიელის ცნობით, როდესაც რომაელები გარე სამყაროსთან ლაშქრის სავაჭრო ურთიერთობებში უხეში ფორმებით ჩაერინენ, კოლხები რომისადმი მრგულად განეწყვნენ და სპარსელებს დაუკავშირდნენ. [Pc., Bp. II, 15.9-12].

რომაელები სამხედრო ძალების პარალელურად, მოქნილი დიპლომატიის გზითაც კოლხეთის შიდა რეგიონებსაც აკონტროლებდნენ. იდეალურ შემთხვევაში რომაული სამხედრო შენაერთები თანამშრომლობდნენ რომაელთა მიერ დანიშნულ ადგილობრივ „მეფეებთან“ თუ წარჩინებულებთან. ეს კონტაქტები კი ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო.

ჩვენ არავითარი მონაცემები არ გავაჩნია იმის შესახებ თუ რა დამსახურებისათვის ერგო კლდეეთელ წარჩინებულს გემოთაღნიშნული რომაული ფალერა. ამიტომ მხოლოდ ზოგადი

შენიშვნებით შემოვიფარგლებით. რამდენადაც მკვლევართა მიერ კლდეეთის სამარხები შეძლებული თუ წარჩინებული მხედრების სამარხებადაა მიჩნეული [2, გვ.217], არ არის გამორიცხული, რომ ის „ეპილექტოსის“, თანამედროვე „კომანდოსთა“ ტიპის რომანიზირებული კოლხი მეომარი ყოფილიყო. ამგვარი ტიპის მეომრებს კონკრეტული სამხედრო დავალების შესრულება ევალებოდათ. შესაძლოა, კლდეეთელი წარჩინებულის რამზს პონტო-კავკასიის სასამღვრო-თავდაცვითი სიგემის აღმოსავლეთის მონაკვეთის უსაფრთხოება ეკისრებოდათ აწ უკვე გაძლიერებული იბერიისაგან.

ყოველ შემთხვევაში, მათ შორის რაღაც გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი არსებობდა ტაციგუსის მიერ მინიშნებული „*ius mili trium*“-ის სახით [Tac., Ann., II, 62], რაც გარკვეულწილად პროკოპი კესარიელის ნაშრომშიცაა ასახული [Pc., Bp., II, 15]. ვფიქრობთ, ეს კავშირი ურთიერთსარგებლობის პრინციპებს ეფუძნებოდა. კერძოდ, მკვიდრი მოსახლეობა იყო არამარტო რომაული პოლიტიკის მხარდამჭერი და გამგარებული, არამედ გარნიზონების შეესების წყარო. თავის მხრივ კი რომაული სამხედრო შენაერთები ერთგვარ მასგაბილიზირებელ როლს ასრულებდა მათ გარემომცველ სამყაროში. გარდა ამისა, მათივე მეშვეობით ვრცელდებოდა შიდა თუ მთიან ზოლში რომაული კულტურის ელემენტები და იმპორტული პროდუქცია.

ამრიგად, კლდეეთის №3 სამარხში არმოჩენილი რომაული მახვილი ვერცხლის გემიანი ბალთით რომაულ ჯილდოს წარმოადგენდა, რომელიც კლდეეთელ დიდებულს ებოძა რომის იმპერიის მესვეურთაგან, მისი პრორომაული ორიენტაციისა თუ რომაელთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. თოლუა თ. რომაული სამყარო და კოლხეთი. თბ., 2003
2. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. თბ., 1957
3. *Àðàóí à Á. Ðè ï ñéí à ÿ ðè ñóñðáè à à Éí èðè àá è È ááððè.* - *Áåñðí è è ãðááí áé èñóí ðè è 4, 1991*
4. *Ñèí áàðü Áí ðè -í ï ñðè. Ì ., 1989*
5. *Ø èéí à Á.Ï . É ÿ ðí áéáí à áçàèí í ï òí ï ø áí è é ñí -ááú ò ÿ éáí áí è áí ðè -í ù ò áí ðí áí à à ñàðí ðèñéòþ ÿí ï ðó.- èðáðèè à ñí ï áú áí è ÿ èñ ñðèððà ððñáí éñ áè è, 138, 1974*

6. Connolly P. greek and Rome at war. London, 1981
7. Johanson K.F. Holy-Fundet.-nordiske Fotids-minder, Bd, II, H.3., 1823
8. Megow W.R. kameen in Rheinischen landesmuseums Bonn.-Bonner Jahrbucher, 186, 1986
9. Robinson H.R. The armour of imperial Rome. London, 1975
10. Schoppa H. Römische bildkunst in Mainz, 1963
11. The administration of the Roman Empire (264BC-AD 193). Ed. D.C. Braund. Exeter, 1988
12. Webster G. The Roman imperial army. London, 1985

*Temur Todua*

**A Roman sword from Kldeeti**

(Summary)

It appears likely that a Roman sword discovered in grave #3 at Kldeeti, with a gem-adorned silver clasp, represented an award granted to a local leader by Roman imperial authorities, in recognition of his pro-Roman orientation, or his participation in Roman military campaigns.



2